

ქ. თბილისი

30.09.2019წ.

ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის, ალექსანდრე თევდორაძის სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორე მხრივ, სს „კავკასავტომავისტრალი“, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, ირინე მარშანიას სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის - აღმოსავლეთ საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების მართვის სამსახურის 2019 წლის 26 სექტემბრის №11646-2 მოხსენებითი ბარათის და 2019 წლის 14 ივნისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ე.ტ.№116-19 ხელშეკრულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის და მე-18 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის 2019 წლის 14 ივნისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ე.ტ.№116-19 ხელშეკრულებას (შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საგარეუკუ-უდაბნო-დავით გარეჯის მონასტრის საავტომობილო გზის კმ 36 - კმ 46 უდაბნო-გარეჯის მონასტრის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები) (შემდგომში - ხელშეკრულება) დაემატოს სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი თანდართული რედაქციით.
2. წინამდებარე დანართზე თანდართული, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარდგენილი სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი (იხ. დანართი) წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. შესაბამისად, მიმწოდებელი ვალდებულია, სამუშაოები აწარმოოს აღნიშნული გეგმა-გრაფიკის მიხედვით. გეგმა-გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულების მე-13 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.
3. წინამდებარე დანართი მასზე თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად. ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.
4. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.
5. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად, თითოეული მხარისათვის.

შემსყიდველი
დეპარტამენტის
თავმჯდომარის მოადგილე
ალექსანდრე თევდორაძე




მიმწოდებელი
სს „კავკასავტომავისტრალი“
გენერალური დირექტორი
ირინე მარშანია






